

2017 წლის ზაფხულში ჩატარებული მუსიკის საგნის გამოცდის სწორი პასუხები და შეფასების სქემები

I მოსმენის ნაწილი

1.1 დ) 1.2 ბ); 2.1 დ) 2.2 ა); 3.1 გ) 3.2 დ); 4.1 გ) 4.2 დ); 5.1 დ) 5.2 ბ); 6.1 დ) 6.2 გ); 7. ა) 8. ა)

9. მელოდირი კარნახი



სანოტო სისტემაზე მოცემულია გასაღები და კარნახის ტონალობის შესატყვისი საგასაღებო ნიშნები. აპლიკანტმა უნდა ჩაწეროს კარნახის ზომა, მელოდირი და რიტმული ნახატი. შესაბამისად, ფასდება ყოველი ამ მონაცემის სისწორე (ზომა, ზერის სიმაღლე და გრძლიობა). დავალების მაქსიმალური ქულაა 5. შეცდომების რაოდენობის მიხედვით, დავალება, შეიძლება, შეფასდეს 5, 4, 3, 2, 1 და 0 ქულით.

შეფასების სქემა:

შეცდომების რაოდენობა	შეფასება
0 %	5
1%-20%	4
21%-40%	3
41%-60%	2
61%-80%	1
81%-100%	0

## 10. მუსიკალური ნაწარმოების ანალიზი

ჯამური ქულაა 15.

დავალება შედგება 5 საკითხისაგან. თითოეული ფასდება 3 ქულით.

1. ღია კითხვა. 3 ქულა
2. დახურული კითხვა, მოითხოვს კონკრეტულ პასუხებს. 3 ქულა
  - ა) 1 ქულა
  - ბ) 1 ქულა
  - გ) 1 ქულა
3. ღია კითხვა. 3 ქულა
4. დახურული კითხვა, მოითხოვს 3 კონკრეტულ პასუხს. 3 ქულა
5. ღია კითხვა. 3 ქულა

შეფასების სქემა მუსიკალური ნაწარმოების ანალიზისათვის მაქსიმალური ქულა ყველა ქვეპუნქტისთვის 3	
3 ქულა	საკითხი სრულყოფილად არის გააზრებული – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და დამაჯერებელი მსჯელობით.
2 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, აპლიკანტის პასუხი სწორია, მაგრამ მისი მსჯელობა ზოგადია და სქემატური.
1 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, მაგრამ მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
0 ქულა	აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტს არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა. პასუხი არასწორია ან ბუნდოვანი, მოყვანილია არაფრის-მთქმელი არგუმენტები და განმარტებები.

1. ნაწარმოების ჟანრი - საფორტეპიანო სონატა. მოვისმინეთ სონატის პირველი ნაწილი, რომელიც სონატური ფორმით არის დაწერილი. ამ ფორმით იწერება კლასიკური სონატის პირველი ნაწილი.

2. ა) სონატური ფორმა

ბ) რე მაჟორი

გ) S D T (ან II<sub>6</sub> V<sub>35</sub> I<sub>35</sub>)

3. სონატის პირველ ნაწილში, მკაფიოდ გამოხატულია ორი მხატვრული სახე - მთავარი და დამხმარე თემები. მთავარი თემა წარმოადგენს ენერგიულ, მჩქეფარე, მხიარულ, თამაშის გამომხატველ ხასიათს, რაც გამოხატულია ენერგიული რიტმიკით, აქცენტირებული ძლიერი დროებით; ხოლო დამხმარე - უფრო კეკლუცი ხასიათის მქონეა, შემოაქვს ჰაეროვნება და სიმსუბუქე ნაწარმოებში. ამ ხასიათს ქმნის ფორმლაგები, მარცხენა ხელის მსუბუქი სტაკატოები, მოკლე პაუზები. ეს ორი მხატვრული სახე დაკავშირებულია ერთმანეთთან დამაკავშირებელი თემის არპეჯიული ფაქტურით, რომელიც მთავარი თემის ხასიათს ანვითარებს და მოდულაციას აკეთებს დომინანტურ ტონალობაში. ხოლო ექსპოზიციის დასკვნითი თემა აგრძელებს დამხმარე თემის ხასიათს. მას ახასიათებს მრავალფეროვანი ფაქტურა და ტონალური ცვალებადობა. სონატური ფორმის მცირე დამუშავებითი ნაწილი აგებულია მთავარი და დასკვნითი თემების ინტონაციებზე, არ შემოაქვს ხასიათობრივი ცვლილება მუსიკაში. რეპრიზა აღადგენს ექსპოზიციის მუსიკალურ მასალას და მთავარ ტონალობას.

4. XVIII საუკუნის II ნახევარი, კლასიციზმი, იოზეფ ჰაიდნი.

5. იოზეფ ჰაიდნი არის ვენის კლასიკური სკოლის წარმომადგენელი. კომპოზიტორის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ავსტრიის დედაქალაქთან, მომდევნო პერიოდი - უნგრელ თავად ესტერჰაზის სასახლის კართან, ხოლო შემოქმედების მესამე ნაწილი - ევროპის კიდევ ერთ დიდ კულტურულ ცენტრთან - ლონდონთან. ჰაიდნის შემოქმედებაში გაერთიანებულია ავსტრია-გერმანიის მრავალეროვანი მუსიკალური ტრადიციები. ჰაიდნი კლასიკური სიმფონიის და კვარტეტის ფუძემდებელია. მას ეკუთვნის მრავალრიცხოვანი ნაწარმოები ამ ჟანრებში, აგრეთვე კამერულ - ინსტრუმენტული მუსიკის სხვა მრავალი ნიმუში, კონცერტები, საფორტეპიანო მუსიკა, ორატორიები „სამყაროს შექმნა“ და „წელიწადის დრონი“, ოპერები იტალიური ბაროკოს სტილში. მის შემოქმედებაში სონატას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ძველებური ერთნაწილიანი სონატის ადგილი დაიკავა კლასიციზტურმა სამნაწილიანმა ციკლმა (მას ეკუთვნის ორნაწილიანი სონატებიც). ჰაიდნმა შეიმუშავა კლასიკური ფორმები და ციკლში ნაწილების ხასიათის, ტემპებისა და ფორმების მკაფიო განაწილება. სონატის პირველი ნაწილი - დაწერილია სონატური ფორმით Allegro-ს ტემპში, ენერგიული, მჩქეფარე, ხალისიანი ხასიათით; მეორე ნაწილი - სამნაწილიანი ფორმა ან ვარიაციები ნელ ტემპში, ჩაფიქრებული, ლირიკული ან დინჯი, ნელი სვლა; მესამე

ნაწილი - რონდოს ფორმა, Presto, მკვირცხლი, სიცოცხლით სავსე, მხიარული. D-dur  
სონატა მისი შემოქმედების და ამ ჟანრის ერთ-ერთი ჩინებული ნიმუშია.

## II ნაწილი

11. ბ) 12. ბ) 13. ბ) 14. ბ) 15. დ) 16. დ) 17. ბ) 18. გ) 19. ბ) 20. ბ) 21. დ) 22. გ) 23. დ)  
24. ბ) 25. დ) 26. ბ)

### 27- 30. რე ნოტიდან აგება

თითოეული დავალების შეფასების ქულაა 1. ჯამური ქულაა 4.

27. დიდი სექსტა

28. მინორული სამხმოვანება

29. მცირე მაჟორული კვინტსექსტაკორდი



30. ლიდიური კილო



31-33. შესაბამისობის დადგენა.

თითოეული დავალების შეფასების ჯამური ქულაა 3.

31.    ა    ბ    გ    დ    ე
- 31.1
- 31.2
- 31.3

32.    ა    ბ    გ    დ    ე
- 32.1
- 32.2
- 32.3

33.    ა    ბ    გ    დ    ე
- 33.1
- 33.2
- 33.3

34-38. ჭეშმარიტია-მცდარია

თითოეული დავალების შეფასების ქულაა 1.

34. ჭეშმარიტია  მცდარია

Concerto grosso ბაროკოს ეპოქაში შეიქმნა.

---

---

35. ჭეშმარიტია  მცდარია

~~ღ~~ Diminuendo ნიშნავს ხმოვანების თანდათან შემცირებას.

---

---

36. ჭეშმარიტია  მცდარია

~~ღ~~ მესა, შუა საუკუნეებში, ლათინურ ენაზე სრულდებოდა.

---

---

37. ჭეშმარიტია  მცდარია

~~ღ~~

---

---

38. ჭეშმარიტია  მცდარია

~~ღ~~ საბალეტო ტერმინოლოგია, ძირითადად, ფრანგულ ენაზეა.

---

---

### 39-40. ქრონოლოგიის დადგენა

39. შეფასების ქულაა 1.

1	2	3	4
გ	ბ	დ	ა

40. შეფასების ქულაა 1.

1	2	3	4
ა	დ	ბ	გ